დამფუძნებელ კრების საპროპაგანდო კომისიის გამოცემა.

6

ნ. ხომერიკი

საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრე

ტფილისი
დამფუძნებელი კრების სტამბა
1920

დამფუძნებელ კრების საპროპაგანდო კომისიის გამოცემა.

6

ნ. ხომერიკი

საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრე

ტფილისი
დამფუძნებელი კრების სტამბა
1920

საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრე

შესავალი.

როცა 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, ბევრი ეჭვობდა, რომ ჩვენი პატარა რესპუბლიკა ამ საშინელ ისტორიულ ქარტეხილს გადაიტანდა და ფეხზე დადგებოდა. მარა უკვე ორ წელიწადზე მეტია, რაც ფაქტიურათ საქართველოს რესპუბლიკა არსებობს. დიდი გაჭირვება და ავი დრო გამოიარა მან ამ ხნის განმავლობაში. აუარაცხელი დაბრკოლება ეღობებოდა წინ, ბევრი მტერი ყავდა როგორც შინ, ისე გარეთ. მარა ყოველივე ამას სძლია პატარა ქვეყანამ, მედგრათ გადაიტანა მრავალი განსაცდელი და დღევანდლამლი მოაღწია მთლიანად და უვნებელათ. რა იყო ამის მიზეზი – ამის გარკვევას ჩვენ აქ არ შევუდგებით. აღვნიშნავთ მხოლოდ ფაქტს.

დღეს საქართველოს რესპუბლიკა მთელი განათლებული ქვეყნის მიერ ცნობილია როგორც სრულუფლებიანი წევრი ხალხთა ოჯახისა. ჩვენმა ხალხმაც ამ ხნის განმავლობაში ღრმად შეითვისა იდეა საქართველოს დამოუკიდებლობისა, საჭიროება მისი სახელმწიფოებრივი არსებობისა. ამ ჟამათ საქართველოს არ სცნობენ და მას ებრძვიან მხოლოდ მისი აშკარა მტრები და თითო-ოროლა გარეწარი. მთელი ხალხი, მთელი დემოკრატია შეპყრობილია იმ აზრით, რომ რათაც დაუჯდეს, დაიცვას საქართველოს დამოუკიდებლობა, ვინაიდან ამ დამოუკიდებლობის დაცვასთან მჭიდროთ შეკავშირებულია მისი ბედიღბალი, მისი აწმყო და მომავალი.

ამ საყოველთაო შეგნებისა და დაინტერესების წყალობით ქართველმა ხალხმა პირდაპირ ჯოჯოხეთურ პირობებში არარასაგან შექმნა სახელმწიფო აპარატი, დაამყარა შედარებითი წესრიგი, ქალაქებსა და სოფლებში შემოიღო დემოკრატიული თვითმართველობანი, განახორციელა უდიდესი სოციალური რეფორმები.

ერთი სიტყვით, ქართველმა ხალხმა დაამტკიცა, რომ მას აქვს როგორც სურვილი, ისე უნარი სახელმწიფოს აშენებისა და დამოუკიდებელი ცხოვრების მოწყობის.

მარა შეიძლება გვითხრან: ერთია სურვილი – მერეა შესაძლებლობა. საქართველოს რესპუბლიკას ხანგრძლივი არსებობა არ უწერია. უმთავრესი საბუთი, რომელიც წინათ ხშირათ მოყავდათ, ხოლო აქა-იქ დღესაც გაიგონებთ, ის არის, რომ საქართველო ღარიბი ქვეყანაა და საკუთარი საშვალებით არსებობა არ შეუძლიაო. ეს მოსაზრება სერიოზული და ანგარიშგასაწევია. თუ ის მართალია, აშკარათ უნდა ვთქვათ, რომ მთელი ჩვენი მოქმედება უნაყოფო ყოფილა.

მართლაც, სახელმწიფოს არსებობის ერთი უმთავრესი პირობა ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგებაა. თუ ამ მხრივ სახელმწიფო ხანგრძლივათ კოჭლობს – ის ადრე თუ გვიან აუცილებლად დაიშლება. სახელმწიფო მაშინ არის მტკიცე, თუ მას აქვს საშვალება დაიკმაყოფილოს ყველა თავისი მოთხოვნილება საკუთარი სიმდიდრით.

ეს რასაკვირველია იმას არ ნიშნავს, რომ მან მარტოდ-მარტო საკუთარი ნაწარმოებით იცხოვროს. პირიქით ჩვენ ვიცით, რომ არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია არსებობა სრულიად განმარტოებით, ცალკე, თუ სხვა ქვეყნებთან არ გაბა ეკონომიური და სააღებმიცემო ურთიერთობა. ქვეყნათ არ არსებობს ისეთი სახელმწიფო, რომელიც მარტო საკუთარი ნაწარმოებით იკმაყოფილებდეს ყველა თავის მოთხოვნილებებს. ახალდელი ომის დროსაც კი მტრის მიერ გარემოცული გერმანია ახერხებდა სხვა და სხვა საშვალებით უცხოეთიდან საქონლის მიღებას. თუ დაბოლოს გერმანიას მაინც სძლიეს მოპირდაპირე ქვეყნებმა სწორეთ იმიტომ, რომ ის ჩაკეტეს და მოუს-

პეს საშვალება საკმაო რაოდენობით მიეღო გარეშე ქვეყნებიდან საჭირო საქონელი.

ჩვენ დღეს ბევრ თავის მოთხოვნილებას ვიკმაყოფილებთ ცხრა მთას იქიდან მოტანილი ნაწარმოებით: ხშირათ ვჭამთ კანადის პურს, ვიცვამთ ამერიკიდან მოტანილ ტანსაცმელს, ავადმყოფებს ვაქიმობთ გერმანიაში დამზადებული წამლებით და სხვ. არ არის ისეთი ქვეყანა, რომელთანაც პირდაპირ თუ არა პირდაპირ რაიმე ეკონომიური კავშირი არ გვქონდეს.

მთელი დედამიწის ზურგი წარმოადგენს ერთს მთლიან ეკონომიურ სხეულს, რომლის ცალკე ნაწილს არ შეუძლია არსებობა, თუ მოწყვეტილი დარჩა მთელისაგან. უფრო მარტივათ, რომ ვთქვათ, მთელი ქვეყანა ერთი სახელოსნოა, სადაც მზადდება აურაცხელი ნაწარმოები, რომელიც შემდეგ ცოტათ თუ ბევრათ სისწორით ნაწილდება ყველას შორის. მარა ნაწილდება, რასაკვირველია, გაცვლა-გამოცვლის საფუძველზე. ე. ი. უცვლიან იმას, ვისაც სამაგიერო აქვს მისაცემი. ჩვენი ქვეყანაც დღეს ამ საერთო სააღებმიცემო ურთიერთობაშია ჩაბმული. კითხვა იბადება შეუძლია თუ არა მას დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილება, მოიზიდოს უცხოეთიდან საჭირო საგნები და ღირებულებანი და მისცეს მას სამაგიერო საქონელი. თავის თავად ცხადია, რომ ქვეყანა, რომელიც მუდამ მათხოვრობს, ე. ი. სხვას ართმევს, სხვისგან თხოულობს და თითონ კი ვერაფერს აძლევს, – ასეთი ქვეყანა დიდხანს ვერ იარსებებს, ის მალე დაუძლურდება და დაკარგავს თავის დამოუკიდებლობას. ამიტომ სახელმწიფოს ცხოვრებაში ეკონომიურ მომენტს, მეურნეობის მოწესრიგების საკითხს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

როგორც ვთქვით, ჩვენი დამოუკიდებლობა უბრალო -ჩხირკედელაობათ უნდა ჩაითვალოს, თუ აღმოჩნდება, რომ არ შეგვწევს ძალა გამოვნახოთ საკუთარი საშვალებანი და დავიკმაყოფილოთ ჩვენი ნივთიერი და კულტურული მოთხოვნილებანი.

ამ ჟამათ საქართველოს რესპუბლიკის წინაშე ყველაზე უფრო მწვავეთ ეს საკითხი სდგას. ეკონომიური ცხოვრების მოუწესრიგებლობას ჩვენ ვგრძობთ თითოეული ფეხის ნაბიჯზე, ცხოვრების ყველა დარ-

გში.

რუსეთის მთავრობამ მეტად ცუდი მემკვიდრეობა დაგვიტოვა. ის აქ აწარმოებდა ჩვენი კუთხის დასუსტების პოლიტიკას, სდევნიდა ხალხის თვითმოქმედობას – თაოსნობას, ხელს უშლიდა ადგილობრივ მრეწველობის განვითარებას და ტყვილა-უბრალოდ ფლანგავდა აუარებელ სიმდიდრეს. ასეთი პოლიტიკის შედეგია, რომ ჩვენი ქვეყანა დღეს ჩამორჩენილი და ღარიბი ქვეყანაა.

ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ თითქმის ყველაფერი უცხოეთიდან შემოვიტანოთ; ნემსი და ძაფიც კი უნდა იქიდან მივიღოთ. ამიტომ ჩვენი სავაჭრო ბალანსი უარყოფითია, ე. ი. ჩვენ მეტი შემოგვაქვს, ვინემ გაგვაქვს, ჩვენ სხვა ქვეყნების ვალი გვედება. ამის შედეგი, სხვათა შორის, ის არის, რომ საშინლად ეცემა ჩვენი ბონების კურსი და უარესდება რესპუბლიკის ფინანსიური მდგომარეობა. ბონების კურსის დაცემა კი იწვევს შიგნით ცხოვრების საშინელ გაძვირებას, მუშათა მდგომარეობის გაუარესებას, მრეწველობისა და აღებმიცემობის შეფერხებას, ერთი სიტყვით, მთელი ეკონომიური ცხოვრების არევ-დარევას.

საკითხავია – დროებითია ეს მოვლენა, თუ ის აუცილებელი და მუდმივია?.

საერთაშორისო ომმა დიდი ქვეყნების ეკონომიური მდგომარეობაც კი ძირიანბუდიანათ შეარყია. რაღა გასაკვირველია თუ ახლად აღორძინებული სახელმწიფო კრიზისს განიცდის. ეს ასეც უნდა იყოსო – იტყვიან. და არც მთლად მტყუანი იქნებიან.

მარა შეიძლება ჩვენი გაჭირვებული მდგომარეობა მარტო საერთო არევ-დარევისა და დაცემის შედეგი არ არის? შეიძლება საქართველო ნორმალურ დროშიაც მოკლებული იქნება საშვალებას გამოასწოროს თავისი მდგომარეობა და მოაწესრიგოს ეკონომიური მდგომარეობა?

ეს კითხვა კარგათ უნდა გაითვალისწინოს ყველა-მუშამ, ყველა გლეხმა, ყველა მოქალაქემ, ვინაიდან სახელმწიფოს აშენებს დღეს არა ერთი და ორი კაცი, არა რჩეულნი და თითო-ოროლა პოლიტიკოსი, არამედ მთელი ხალხი, რომელმაც უნდა იცოდეს საით მიდის, რას აკეთებს და როგორ

მომავალს უმზადებს თავის თავს და თავის ქვეყანას.

აქვს თუ არა იმდენი ნივთიერი სახსარი საქართველოს, რომ სხვისი მონა არ გახდეს და საკუთარი ძალით მოაწყოს თავის ცხოვრება? უკეთ, რომ ვთქვათ არსებობს თუ არა საქართველოს რესპუბლიკისთვის შესაძლებლობა ეკონომიური განვითარებისა?.

აი, რის გარკვევას ემსახურება ეს პატარა წიგნაკი. საქართველო ღარიბი ქვეყანაა და ასეთაც დარჩება ის შემდეგშიაც – ამბობენ ისინი, ვისაც არ სწამს მისი დამოუკიდებლობა.

საქართველო ღარიბი ქვეყანაა დღეს ვეთანხმებით ჩვენ, – მაგრამ მომავალში ის აუცილებლად ეკონომიურათ უნდა დაწინაურდეს და გამაგრდეს – ვამტკიცებთ ჩვენ.

რატომ?

იმიტომ, რომ მას აქვს დიდძალი ბუნებრივი სიმდიდრე, რომლის თუ გინდა ერთი ნაწილის გამოყენებაც კი სრულიად შესცვლის მის დღევანდელ უმწეო მდგომარეობას და გვერდში ამოუყენებს ეკონომიურად დაწინაურებულ ქვეყნებს.

ჩამოვთვალოთ მოკლეთ ეს სიმდიდრე.

ჩვენი მიწა წყალი.

საქართველოს პირველი სიმდიდრე მისი უხვი მიწა-წყალია. მართალია, მისი ტერიტორია დიდი არ არის. ის 5 ნახევარ მილიონ დესეტინაზე ცოტა მეტს შეიცავს. ამაში კულტურული მიწა, ე. ი. ისეთი, რომელიც გამოდგება სახნავ-სათესავ, სამოსახლოთ, ბაღების მოსაშენებლათ და სათივეებათ მხოლოდ 1.335.751 დესეტინაა.

რევოლიუციამდი საქართველოში სულ 600-650 ათას დესეტინამდი ითესებოდა პურეული მცენარეებით. საკუთარი მოსავალი ჩვენ არ გვყოფნიდა რამდენიმე მილითნი ფუთი პური ჩრდილო კავკასიიდან შემოგვქონდა. ეს არა იმიტომ, თითქო ჩვენს ქვეყანას არ შეეძლოს საკმაო პურის მოცემა.

სრულებითაც არა!

საქართველოს ნიადაგი მდიდარია და ჰავა მშვენიერი, მარა ამ მდიდარი ნიადაგის დამუშავება ხდე-

ბა ძველის-ძველი წესებით, რაც შრომას უნაყოფოს ხდის და ბუნებას ვერ ვართმევთ იმდენს, რამდენის მოცემაც მას შეუძლია.

პირველათ ყველას დიდათ აფიქრებდა ის გარემოება, რომ ჩვენ მოვწყდით რუსეთს, რომელიც გვაძლევდა პურს. ეგონათ, რომ შიმშილით ამოვწყდებოდით, მაგრამ ამ მოკლე დროის გამოცდილებამაც კი დაგვარწმუნა, რომ ჩვენ შეგვიძლია საკუთარი პურით გამოვკვებოთ ქვეყანა. 1918 წლის მოსავლით ჩვენ იოლათ გავიტანეთ თავი. ასევე იოლათ წავიღოთ 1919 წელსაც, დიდი მოუსავლობა რომ თავს არ დაგვტეხოდა. წელს უკვე საკმაო პური ექნება რესპუბლიკას.

ეს იმას ამტკიცებს, რომ საქართველოს დღეესაც-კი შეუძლია საკუთარი პურით თავის დარჩენა.

როგორც ვთქვით, ომამდი ჩვენში ითესებოდა მარტო 600-650 ათასი დეს. მარა არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ ჩვენ მოგვეპოება დიდძალი ადგილიები, რომელიც დღეს უქმათ არის გაჩერებული. მრავალი ათასი დესეტინა მიწა უჭირავს ჭაობებს, რომელთა ამოშრობა შეიძლება და თვალუწვდენელი მიდვრები უწყლობის გამო მეურნეობისათვის ხელმიუწდომელია. შავი ზღვის პირის ჭაობები, ყარაიას, შირაქის, ტირიფონას და სხვ. ველები ქვეყნის მორჩენალ ადგილებად გადაიქცევიან, თუ სახელმწიფო მიიღებს სათანადო ზომებს: გასაშრობს – გააშრობს, მოსარწყავს – მორწყავს. გარდა ამისა, ჩვენში მოიპოება ბევრი ტყე დაბლობ ადგილებში, რომელთა გაჩეხა და სამეურნეო ადგილებათ ქცევა ადვილად შეიძლება.

ცხადია, საქართველოს საკმაო მიწა-წყალი მოეპოება, რომ საკუთარი მოსავალით ირჩინოს თავი.

მარა ეს კიდევ ცოტაა. ჩვენში სასოფლო მეურნეობა ჩამორჩენილია. მიწა მუშავდება მეტად უხეიროთ. სამეურნეო ცოდნა არ არის გავრცელებული და თვით ტეხნიკა მიწის დამუშავებისა მეტად პრიმიტიულია. ამიტომ საქართველოში მიწა შედარებით ძლიერ ცუდ მოსავალს იძლევა.

ჩვენში დესეტინა 50-55 ფუთ პურს იძლევა. დანიაში კი დესეტინაზე 183 ფუთი მოყავთ.

როგორ გგონიათ – დანიაში უკეთესი ნიადაგი

და კლიმატიური პირობებია?

პირიქით, იქაური ნიადაგი გაცილებით უფრო მწირია და ჰავა უარესი. მარა იქ მიწას უფრო საზრიანათ ამუშავებენ. თუ მივბაძავთ დაწინაურებულ ხალხს – და ეს კი ჩვენთვის აუცილებელია – ჩვენი სასოფლო მეურნეობის ნაყოფი ერთი-ორად და მეტად იმატებს და ქვეყანა ნივთიერათ მოღონიერდება.

თამამათ შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ ქვეყანაში არ არის ისეთი საუცხოვო ბუნებრივი პირობები სასოფლო მეურნეობის განვითარებისათვის, როგორც საქართველოში. აქ საჭიროა მხოლოდ ადამიანმა ხელი აამუშაოს და გონება აამოძრაოს, რომ მისი შრომა ერთი ათად დაჯილდოებულ იქნას.

რაციონალური მეურნეობის გავრცელება საქართველოს საშვალებას მისცემს არა თუ დაირჩინოს თავი საკუთარი ხორბლეულობით, არამედ გასაყიდი პურიც მოიყვანოს. ჩვენ რომ მივბაძოთ სასოფლო მეურნეობის დარგში გერმანიას, ინგლისს, დანიას ან ბელგიას რამდენიმე ათეულ მილიონ ფუთ პურს გავიტანთ უცხოეთის ბაზარზე. და ამას ჩვენ ვიზამთ იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყანა ბუნებით დაჯილდოებულია. ზოგიერთ ხალხს ისეთი მწირი ადგილები უჭირავს, რომ რაც უნდა იშრომოს, ბარაქას მაინც ვერ მოიკიდებს.

ჩვენ კი მარტო ხელისა და გონების განძრევა გვესაჭიროება.

საქართველოს უპირატესობა კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ მისი ბუნება მრავალფეროვანია. აქ ერთი კუთხის ნიადაგი და ჰავა მეორისას არ გავს. ეს გარამეობა საშვალებას იძლევა მრავალნაირი სამეურნეო კულტურის განვითარებისა.

მართლაც, სასოფლო მეურნეობის რომელი დარგი გინდათ რომ ჩვენში არა იხეირებს?

ჰავა და ნიადაგი იცვლება ყოველ ფეხის ნაბიჯზე: ერთ ადგილას რომ ცხელი ქვეყნის მცენარეულობა ხარობს, ცოტა მოშორებით ალპიის (მაღალი მთების) მცენარეთა სამეფოს ხვდებით, გაივლით კიდევ ცოტას და ზომიერ ჰავას და მის მცენარეულობას ნახულობთ. ამიტომ ჩვენში ძველთაგანვე მისდევდენ ვენახის მოშენებას, თამბაქოს თეს-

ვას, მეაბრეშუმეობას, მეცხვარეობას და სხვ. უკანა-
სკნელ დროს ვრცელდება დაფნის, ჩაის, მანდარი-
ნის ფორთოხლისა, ზეთის ხილისა და სხვა ძვირფას
მცენარეულობის კულტურა. შეიძლება მოშენება
მრავალი ტეხნიკური (სელი, მზისუმზირა, აბუსალა-
თინი და სხვ.) და სამკურნალო (ლენცოფა, ევკა-
ლიპტის ხე, კამფარის დაფნა და სხვ.) მცენარეების.
მებოსტნეობას და მეხილეობას, ხომ ჩვენში დიდი
მომავალი აქვს!

სასოფლო მეურნეობის თითოეული ეს დარგი
შეიძლება დიდი შემოსავლის წყაროთ გახდეს და
რესპუბლიკის ეკონომიური ცხოვრების გაძლიერებას
ხელი შეუწყოს. მრავალი მილიონი და მილიარდი
მანეთის საღირალი ნაწარმოების დამზადება შეიძლე-
ბა როგორც საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყო-
ფილებლად, ისე უცხოეთში გასატანათ. საუცხოვო
ბუნებრივი პირობების გამო საქართველო მომავალ-
ში უეჭველათ გადაიქცევა ძვირფას სამეურნეო კულ-
ტურის ქვეყანათ. დაუმატეთ ამას მესაქონლეობა,
რომელიც ეხლაც დიდ როლს თამაშობს ქვეყნის ეკო-
ნომიურ ცხოვრებაში. საქართველოს მოეპოება მი-
ლიონ დესეტინამდი საზამთრო და საზაფხულო სა-
ძოვრები და ოთხ მილიონამდი წვრილი და სხვილ-
ფეხი საქონელი. აქედან ორ მილიონამდი მარტო
ცხვარია. როცა მცხოვრებლები დაეჩვევიან მინდ-
ვრის მოვლას, საკვებ ბალახებისა და მცენარეების
თესვას, საქონლის რაოდენობამ შეიძლება ერთი-ორად
იმატოს და მესაქონლეობა ხალხის ნივთიერი კეთილ-
დღეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წყარო შეიქნეს.

ყველამ იცის, თუ როგორ ჩამორჩენილია სასო-
ფლო მეურნეობა. მიუხედავათ ამისა ომამდი, ე. ი.
სანამ ქვეყნის ნგრევა დაიწყებოდა და ნორმალური
მდგომარეობა იყო, საქართველოში მილიონ ფუთო-
ბით მზადდებოდა თანბაქო, ბოსტნეულობა, ხილი
და სხვ.

რაღა იქნება მაშინ, როცა ჩვენში მეურნეობის
ევროპიული წესები გადმოინერგება, გავრცელდება
უმაღლესი ტეხნიკა და სამეურნეო ცოდნა? აბა, მა-
შინ გვიმტკიცონ ჭკვიანმა ხალხმა, რომ საქართვე-
ლო ღარიბი და უძლურია, რომ ჩვენ დამოუკიდე-
ბელი არსებობა არ შეგვიძლია და სხვა უნდა გვყა-

დეს ბატონი და პატრონი!

არა, საქართველოს მოეპოვება საშუალება მოაწყოს თავის ეკონომიური ცხოვრება. მარტო მისი სასოფლო მეურნეობა, მისი მდიდარი და ნოყიერი ნიადაგი და მშვენიერი ჰავა ამის სრული გარანტიაა.

საჭიროა მხოლოდ მიზანშეწონილი შრომა და სწორი პოლიტიკა, რომ ამ გარემოებით სავსებით ვისარგებლოდ და ქვეყანა ეკონომიური წარმატების გზაზე დავაყენოთ.

თუ საქართველო მაინც ღარიბ-ღატაკი დარჩება, ეს მხოლოდ ჩვენი დაუდევრობით შეიძლება მოხდეს.

საქართველოს სასოფლო მეურნეობის ბრწყინვალე მომავალი უეჭველია.

მარა მარტო სასოფლო მეურნეობაში არ არის ჩვენი ეკონომიური მომავალი.

საქართველოს აქვს მეორე რიგის ბუნებრივი სიმდიდრე, რომლის დამუშავება და გამოყენება საფუძვლად უნდა დაედვას მრეწველობის განვითარებას.

ორი უმთავრესი პირობაა საჭირო მრეწველობის ასაღორძინებლად: ნედლი მასალა – მადანი და სათბობი საშვალებანი. ქვეყანას, რომელსაც ეს მოეპოვება, შეუძლია ქონდეს საკუთარი მრეწველობა და დაწინაურდეს, როგორც სამრეწველო ქვეყანა. საქართველოს ერთიც მოეპოება და მეორეც. მას აქვს დიდძალი სხვა და სხვა გვარი მადნეულობა და აუარებელი სათბობი მასალა ქვანახშირის სახით.

თუ დღემდი ჩვენში მრეწველობა კოჭლობდა, ეს აიხსნება რუსეთის მთავრობის განსაკუთრებული მოქმედებით, რომელიც პოლიტიკური მოსაზრებით ხელს უშლიდა განაპირა ქვეყნებში ფაბრიკა-ქარხნების დაარსებას და ნედლი მასალის გადამუშავებას.

საქართველოს მადნეულობა.

საქართველო მდიდარია მადნეულობითი რკინის, სპილენძისა და სხვა მადნეულობის დამუშავებას აქ უხსოვარი დროიდან მისდევდენ. ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდი ქართველები ბევრ ოქროსა და ვერცხლს ამუშავებდენ.

მეფე ერეკლეს დროს დიდი მუშაობა სწარმოებდა ახტალის და ალავერდის სამთამადნო რაიონ-

ში (ბორჩალოს მაზრა). ერთ წელიწადს მარტო ახ-
ტალის ქარხანაში 92 ფუთი და 23 გირ. ვერცხლი
და 15 ათას ფუთამდი სპილენძი იქნა დამუშავებუ-
ლი. რუსეთის დამკვიდრებისას ერთხანს შესწყდა ეს
მუშაობა, მაგრამ შემდეგ ალავერდში ისევ განახ-
ლდა. ალავერდის ქარხნები ომის დაწყებამდი რამ-
დენიმე ასი ათას ფუთობით ამზადებდენ სპილენძს.

სპილენძის მადნებით განსაკუთრებით მდიდარია
ბათომისა და ართვინის ოლქები. აქ ინგლისელები-
სა და სხვა უცხოელების მიერ გაშენებულია დიდი
ქარხნები. ას მილიონობით ითვლიან ზოგიერთ ად-
გილებში მადანის რაოდენობას. ბევრი ადგილი ჯერ
აღმოუჩენელია, ბევრი ნიშნები მხოლოდ აღმოჩენი-
ლია, მაგრამ გეოლოგიური გამოკვლევა ჯერ კიდევ
არ მოუხდენიათ, არ გამოუანგარიშებიათ მადნეუ-
ლობის რაოდენობა. საერთოდ არ არის ისეთი მაზ-
რა, ისეთი ადგილი, სადაც სპილენძის ნიშნები არ
იყოს. ამ ადგილების ჩამოთვლას ჩვენ აქ არ შევუდ-
გებით. ერთი რამ ეჭვს გარეშეა საქართველოს სამ-
თამადნო მრეწველობაში სპილენძის დამუშავება მო-
მავალში საპატიო ადგილს დაიჭერს.

მარა ყველაზე უფრო დაუფასებელ სიმდიდრეს
ჩვენთვის **ჭიათურის მარგანეცი** შეადგენს. პირველად
ის აქ აღმოაჩინა 1849 წელს უცხოელმა გეოლოგმა
აბიხმა. მისი ექსპლოატაცია კი დაიწყო 1878 წლი-
დან. როცა ის გადმოქონდათ გომის სადგურზე, აქე-
დან რკინის გზით ფოთსა და ბათომში ჩაქონდათ
და უცხოეთში იგზავნებოდა. ჭიათურის რკინის გზის
შტოს გაყვანის შემდეგ მადანის დამუშავება ძლიერ
გაფართოვდა. გაჩნდა მრავალი ფირმა, ჭიათურის
მიყრუებულ სოფელს მოაწყდა ბევრი უცხოელი და
აღორძინდა დიდი სამრეწველო ცენტრი. თუ პირველათ
მთელი წარმოება რაღაც ასი ათასი ფუთით განისაზ-
ღვრებოდა, 1906 წელს უკვე 50 მილიონ ფუთზე
მეტი მადანი იქნა მაღაროებიდან ამოღებული. სა-
ყურადღებოა ის, რომ წარმოება თანდათან მატუ-
ლობდა და ჭიათურის შავი ქვა უცხოეთის ბაზარს
ეპატრონებოდა. ომმა, როგორც ყველაფერ დანარ-
ჩენებზე, ისე მარგანეცის წარმოებაზედაც თავისი
დამღუპველი გავლენა იქონია. რამდენიმე წლის გან-
მავლობაში წარმოება თითქმის სავსებით გაჩერებუ-

ლი იყო და მხოლოდ ახლა, ევროპასთან მიმოსვლის
განახლების გამო, ისევ იწყება გამოცოცხლება. ჯერ-
ჯერობით გააქვთ ძველათ დამზადებული ქვა, მარა
მალე ის გამოილევა და მაღაროებში ცხოვრება ისევ
გამოცოცხლდება.

ჭიათურის სამთამადნო რაიონი – 126 კვადრა-
ტულ ვერსს შეადგენს. მადანის რაოდენობას სხვა
დასხვა მკლევარნი სხვადასხვანაირათ განსაზღვრა-
ვენ. ზოგიერთის აზრით აქ 6-6,5 მილიარდი ფუ-
თი მადანია, სხვების გამოკვლევით კი ის 15 მილი-
არდამდი აღწევს. დედამიწის ზურგზე ჯერ არსად
არ არის აღმოჩენილი ასეთი მდიდარი მაღაროები.
ბრიტანეთის ინდოეთში, რომელიც ჭიათურის უძ-
ლიერეს მეტოქეს წარმოადგენს, მხოლოდ 300-400
მილიონ ფუთს ანგარიშობენ.

მარა ჭიათურის დიდი მნიშვნელობა მარტო
მადანის რაოდენობაში როდი გამოიხატება. ჭიათუ-
რის შავ ქვას უფრო აფასებენ მისი მაღალი ღირსე-
გის გამო. ლითონის შემადგენლობა მასში მეტია,
ვინემ სხვა მარგანეცში.

მარგანეცი მეტალურგიული წარმოების დედა-
ბოძია. აქედან ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა
უნდა ქონდეს ჭიათურას საქართველოს რესპუბლი-
კისათვის. მისი შემწეობით ჩვენ დაკავშირებული
ვართ მთელ ქვეყნიერებასთან.

აი, მაგალითად უკანასკნელი ათი წლის გან-
მავლობაში ჭიათურიდან ყოველ წლიურათ გაუტა-
ნიათ:

გერმანიაში	– 16,1	მილ.	ფუთი	ანუ – 48%
ინგლისში	– 9,1	„	„	„ – 25%
ბელგიაში	– 5,0	„	„	„ – 12%
ამერიკაში	– 2,8	„	„	„ – 6%
საფრანგეთში	– 1,9	„	„	„ – 5%
სხვა ქვეყნებში	– 1,7	„	„	„ – 4%

რამდენათაც განვითარდება მრეწველობა, რამ-
დენათაც მეტი ლითონი იქნება საჭირო იმდენათ
უფრო გაიზდება ფასი და მნიშვნელობა ჭიათურისა.

თუ რა სისწრაფით მატულობს მარგანეცის ხმა-
რება – ეს იქიდან ჩანს, რომ 1904 წელს მთელ
მსოფლიოში დაუმზადებიათ 60 მილიონი ფუთი, ხო-
ლო 9 წლის შემდეგ, ე. ი. 1913 წელს – 125 მი-

ლიონი ფუთი.

აქედან 1904 წ. ჭიათურას მიუცია 47.000.000 ფუთი, ხოლო 1913 წელს – 53 მილ.

ჯერჯერობით ჭიათურის მაღაროებიდან ამოღებულია მხოლოდ ნახევარ მილიარდ ფუთზე ცოტა მეტი. ცხადია, რა დიდი როლი ეკუთვნის ჭიათურას საქართველოს ეკონომიურ ცხოვრების აღორძინებაში.

დღემდი ჭიათურა აწვდიდა უცხოეთს გადაუმუშავებელ მადანს; აწვდიდა, მაშასადამე, მცირე ღირებულების საქონელს. მარა, ვინაიდან ჩვენ მოგვეპოება დიდძალი ჰიდრავლიური ენერგია – მრავალი მდინარე, რომლებიც მოგვცემენ აუარებელ უფასო მამოძრავებელ ძალას, მარგანეცი შეგვიძლია ფერომარგანეცათ ვაქციოთ და უცხოეთის ბაზარზე უფრო მეტი ღირებულების საქონლით გავიდეთ. ამ ჟამათ ფერომარგანეცს მხოლოდ უცხოეთში ამზადებენ, უმთავრესად ჭიათურის მადნიდან. ომამდი ფუთი მარგანეცი უცხოელებს ფოთიდან 13-14 კაპ. გაქონდათ, ხოლო მისგან გაკეთებული ფერომარგანეცი რუსეთში შემოქონდათ და ფუთს მანეთად ყიდდენ.

აი, რას სწერდა უცხოეთის სპეციალისტი, რომელმაც შეისწავლა ჩვენი მადნეულობა და მდინარეების ძალა:

„არცერთ ქვეყანას არ შეუძლია იმდენი სარგებლის მიღება მარგანეცის გადამუშავებაში, რამდენიც რუსეთის იმპერიას, რომელთც კავკასიაში (ე. ი. საქართველოში) არის მფლობელი უდიდესი მადნების, რაიც უმთავრესი დამაკმაყოფილებელია მთელი ქვეყნის მომხმარებლებისა“.

თუ ასეთი დიდი მნიშვნელობა ქონდა ევროპიელის თვალში პატარა ჭიათურას უზარმაზარი რუსეთისათვის, რომელსაც სხვა აურაცხელი სიმდიდრე ქონდა, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დიდ საგანძურს წარმოადგენს ის პატარა საქართველოსათვის.

სხვა რომ არაფერი ქონდეს საქართველოს, მარტო მარგანეცზე შეიძლება აშენდეს მისი სამეურნეო ძლიერება და ეკონომიური განვითარება.

მარა მარგანეცი ჩვენ მარტო ჭიათურაში როდი მოგვეპოება. შავი ქვის ნიშნები, რომელთაც

შეიძლება პრაქტიკული მნიშვნელობა დაურჩეთ, და სადაც შეიძლება მრეწველობა გაჩაღდეს, არის არ-თვინის ოლქში, რაჭაში, სოფელ ჩასავალში, მდინა-რე ძირულას ხეობაში, თბილისის მაზრაში – სოფელ თეთრი წყაროების მახლობლათ და სხ. ამათში ყვე-ლაზე უფრო საყურადღებოა რაჭის მარგანეცი, რო-მელიც ძლიერ მაღალი ღირსებისაა. თუ გეოლოგი-ური გამოკვლევა დაამტკიცებს, რომ მადანი აქ ბლო-მათ მოიპოება, მაშინ შეიძლება რაჭის მიყრუებული სოფ. ჩასავალი მეორე ჭიათურაც გადაიქცეს და ჩვენს ქვეყანას ახალი დიდი სამრეწველო ცენტრი შეემატოს.

მარგანეცის შემდეგ დიდი ყურადღების ღირსია ჩვენი ქვანახშირი – ეს თანამედროვე მრეწველო-ბის აუცილებელი პირობა. ქვანახშირი დღეს მეო-რე ოქროთ გადაქცეულა ომით დანგრეულ ევრო-პისათვის. ქვანახშირის ხელში ჩასაგდებათ ხშირათ სახელმწიფოები ერთი მეორეს ეომებიან, ერთმანეთ-ში ქიშპობენ. უქვანახშიროთ შეუძლებელია თანა-მედროვე განვითარებული სახელმწიფოს არსებობა. ვისაც ის საკმაოდ არ მოეპოება – იგი მუდამ სხვი-საგან არის დამოკიდებული და განუწყვეტლივ იმის შიშშია, რომ ერთ მშვენიერ დღეს მოესპობა მისი უცხოეთიდან მიღების საშვალება და მოიშლება მთე-ლი ეკონომიური ცხოვრება. ამიტომაა, რომ ასე გა-ფაციცებით ეძებენ კაპიტალისტური ქვეყნები ქვა-ნახშირის რაიონებს მათზე თვისი გავლენის გასაძ-ლიერებლათ ან პირდაპირ ხელში ჩასაგდებათ.

საქართველო ბუნებას ამ მხრივაც დაუჯილდო-ებია. ჯერჯერობით ჩვენში კარგათ იცნობენ ქვა-ნახშირის ორ დიდ რაიონს: ტყიბულსა და ტყვარ-ჩელს. პირველში უკვე გაჩაღებულია მუშაობა. მთე-ლი წარმოება დღეს აქ საქართველოს ნაციონალურ კუთვნილებას შეადგენს – იგი სახელმწიფოს ხელ-შია და ტყიბულის მაღაროებიდან ამოღებული ქვა-ნახშირით ამ ჟამად მოძრაობს ჩვენს რკინის გზებ-ზე ბევრი ორთქმავალი და მუშაობენ სახელოსნოე-ბი. ბაქოდან რომ დღეს ნავთის მიღება გაძნელებუ-ლი არ იყოს, ტყიბულის ქვანახშირი, როგორც სა-ვალიუტო საქონელი, როგორც ისეთი მასალა, რო-მელზედაც უცხოეთში, განსაკუთრებით იტალიაში,

დიდი მოთხოვნილებაა, შესამჩნევათ გამოასწორებდა ჩვენი საგარეო ვაჭრობის საქმეს.

პირველათ ქვანახშირის არსებობა აქ 1830 წელს აღმოაჩინეს.

ტყიბულის ნახშირი ღირსებით ჩამორჩება ინ-გლისისა და დონის ბასეინის ქვა-ნახშირს, მარა ის არც ისე მდარე ღირსებისაა, რომ ყურადღების ღირ-სი არ იყოს. მისი მათბობელი ძალა დამაკმაყოფი-ლებელია, ის – 6576-7525 ადის.

გეოლოგების გამოკვლევით მადანის რაოდენო-ბა 6 მილიარდ ფუთს უდრის. ფიქრობენ, რომ ნამ-დვილათ მეტი არის. ნახშირის ფენების სისქე 15 საჟენამდი აღწევს, სხვადასხვა ფენის ნახშირი სხვა დასხვა ღირსებისაა. რაც უფრო ძირსაა – მით უკე-თესია. ზოგიერთი ფენა კოკსს იძლევა. საერთოდ ტყიბულის ნახშირი გამოსადეგია ორთქმავლების ასა-მუშავებლათ, სახელოსნოებისათვის, ბინების გასათ-ფობათ და სხვ.

უფრო საყურადღებოა ტყვარჩელის ქვანახში-რი, სადაც ჯერ კიდევ დამუშავება არ დაწყებულა, ეს ადგილი წინასწარ კარგათ გამოკვლეულია მრავალი სპეციალისტის მიერ და დიდძალი და დი-დი ღირსების ქვანახშირის არსებობა აქ ეჭვს გარე-შეა. ადგილის უპირატესობა იმაში მდგომარეობს რომ იგი ახლოა შავზღვასთან, ოჩემჩირიდან 35 ვერსზე იმყოფება, ადვილია რკინის გზის გაყვანა და ნახშირის ზღვით უცხოეთში გატანა.

მკვლევართა ანგარიშით აქ 12-13 მილიარდი ფუთი მადანია. ღირსებით ამ ნახშირს სპეციალის-ტები ინგლისის საუკეთესო ნახშირს ადარებენ. მი-სი მათბობელი ძალა 8314-8968 უდრის. ნაცრის პროცენტი ძლიერ ცოტაა და ჰაერზე დიდხანს არ იშლება. თითქმის ყველა ფენებიდან კეთდება კოკსი. ამ მხრივ ცდამ მშვენიერი შედეგები მოიტანა. მის-გან 68,20% ეგრეთ წოდებული მეტალურგიული კოკსი გამოდის.

ტყვარჩელის ქვანახშირი უცხოეთში გასა-ტანი საქონელი გახდება და მაშასადამე უცხოეთთან აღებ-მიცემობის გასაჩაღებლათ მას დიდი მნიშვნე-ლობა ექნება. არა ნაკლები იქნება მისი როლი შიგ-ნით – მრეწველობის გასავითარებლად. ჩვენში ახლა

სპილენძის გადადნობა და მომავალში რკინის – სავ-
სებით დამოკიდებულია დონის კოკსისაგან. ტყვარ-
ჩელის გამოყენება ჩვენს ქვეყანას და მის მრეწვე-
ლობას გაათავისუფლებს ამ დამოკიდებულებისაგან
და მისი ქვანახშირი გადაიქცევა მრეწველობის სხვა-
დასხვა დარგის განვითარების ძლიერ ფაქტორათ.

ქვანახშირის არსებობის ნიშნები ბევრ სხვა ად-
გილასაც მოიპოება.

საქართველო არც **რკინის მადნეულობით** არის
ღარიბი. რკინის მადანს ჩვენი წინაპარნი უხსოვარი
დროიდან ამუშავებდენ. ამის ნიშნები მრავალ ად-
გილს მოიპოება. ყველაზე უფრო ცნობილი და გა-
მორკვეულია ჩათახის სამთამადნო (ბორჩალოს მაზ-
რა) რაიონი. აქ მაღაროების ექსპლოატაციას 1862
წლიდან ეწეოდენ. იყო გაშენებული მადანის დიდი
სადნობი ქარხანა, სადაც ამზადებდენ კარგა ძალ
თუჯს.

არის აგრეთვე რკინის მადნის სერიოზული ნიშ-
ნები შორაპნისა და რაჭის მაზრებში, აგრეთვე სხვა
ადგილებშიაც.

როგორც ვთქვით, რკინის მადნის დამუშავება
დამოკიდებულია ქვანახშირისა და კოკსის წარმოე-
ბაზე.

ძველი ისტორია იცნობს საქართველოს რო-
გორც **ოქროსა და ვერცხლის** ქვეყანას. ამ ნიადაგ-
ზე შექმნილია მრავალი ლეგენდა. მარა ამ მხრივ
საქართველო ჯერ კიდევ გამოუკვლეველია. ოქროს
არსებობის ნიშნები არის სვანეთში და სხვა ადგი-
ლებშიაც. ოქრო და ვერცხლი მოიპოვება აგრეთვე
შერეული სხვა მადნებთან. ალავერდის სამთამადნო
რაიონში, ვერცხლის მადნის სერიოზული ნიშნე-
ბია დუშეთის მაზრაში, აფხაზეთში, ბათომის ოლქში,
ბორჩალოს მაზრაში და ზოგიერთ სხვა ადგილებში.

აღმოსავლეთ საქართველოში, სოფელ კასპის
მიდამოებში, საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ
და სენაკის მაზრაში არის დიდძალი **ცემენტის ქვა.**
კირის ქვა ხომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე მოიპოება.
ბევრია დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ადგი-
ლას: **ბარიტი,** რომელსაც ომამდი ფართოდ ამუშა-
ვებდენ.

ხშირად შეხვდებით ჩვენში აგრეთვე **ცეცხლ-**

გამძლე თიხას და **თეთრ თიხას** (კაოლინს), რომ-ლიდანაც ფაიფურის ჭურჭლეულობა მზადდება.

ცეცხლგამძლე თიხის დამუშავება ჯერ-ჯერო-ბით მხოლოდ სოფელ შორაპანში ხდება, სადაც მო-წყობილია საკმაოთ დიდი ქარხანა. აგურისა და კრა-მიტის თიხას კი ბევრ ალაგას ამუშავებენ. ამ მიზნი-სათვის გამოსადეგი თიხა ყოველ ფეხის ნაბიჯზეა ჩვენში.

დიდ სიმდიდრეს წარმოადგენს აგრეთვე მშვე-ნიერი **ლიტოგრაფიის ქვა,** – რომელიც მრავალ ად-გილას მოიპოება. ლიტოგრაფიის ქვის დიდძალი მა-დანი არის დუშეთის, ბორჩალოსა და თიანეთის მაზ-რებში და სხვ.

ყურადღების ღირსია **გლაუბერის მარილი,** რომლის მადანი ორ ადგილას არის აღმოჩენილი: სოფელ მუხროვანში, სადაც უკვე ამუშავებენ და სოფელ მალხაზოვკაში, რომლის რაოდენობა 80 მილ. ფუთს სჭარბობს; გლაუბერის მარილი აუცილე-ბელია შუშეულობის ქარხნებისთვის.

არის ჩვენში აგრეთვე სხვადასხვა **საღებავე-ბი, ტორფი** რომელიც კარგ სათბობ მასალას წარ-მოადგენს, **კიზელგური** (инфузорная земля) და სხვ.

საქართველო არც ნავთის მხრივ არის უიმედო. მრავალ ადგილას მოიპოვება მეტად საყურადღებო-ნიშნები ნავთის არსებობისა. მარა ყველაზე უფრო საყურადღებოა გურია და კახეთი. კახეთის ნავთი ხასიათდება ბენზინის, პარაფინის და კეროსინის დი-დი შემადგენლობით. ექნება თუ არა ამ ადგილებს სამრეწველო მნიშვნელობა, ე. ი. არის თუ არა იქ იმდენი ნავთი, რომ შესაძლებელი დარჩეს მისი ფარ-თო ექსპლოატაცია, – ეს საკითხი ჯერ არ არის კი-დევ გამორკვეული. ამისთვის საჭიროა დამატებითი გამოკვლევები და სასინჯი მუშაობა, რომელიც ბევრ ადგილას დაწყებული იყო ჩვენში, მარა ომის მიზე-ზით შეწყდა.

კურორტები და სამკურნალო წყლები.

არსად დედამიწის ზურგზე ასეთ პატარა ტერი-ტორიაზე იმდენი სააგარაკო ადგილი და სამკურნა-ლო წყლები არ არის, რამდენიც საქართველოშია.

ევროპაში იცნობენ შვეიცარიის, ავსტრიის და სხვა ქვეყნის აგარაკებს; განსაკუთრებით შვეიცარია სახელგანთქმულია თავის კურორტებით. გადამეტებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ შვეიცარია უმთავრესად კურორტებით ცხოვრობს. იქაურ მოწყობილ აგარაკებზე თავს იყრის ყოველწლიერ მრავალი ხალხი უცხო სახელმწიფოებიდან, რომელთაც მოაქვთ და სტოვებენ იქ თავის ქვეყნის სიმდიდრის ნაწილს. ამნაირად კურორტები დიდ შემოსავალს აძლევენ სახელმწიფოს და ხალხს და ღარიბ ქვეყანას ამდიდრებენ.

საქართველოს, სხვა სიმდიდრესთან ერთად, ეს სიკეთეც ბლომათ მოეპოება. ჩვენი კურორტები თავისი კლიმატიური პირობებით, ადგილმდებარეობით და სიმშვენიერით არა თუ ჩამორჩებიან შვეიცარიის ცნობილ აგარაკებს, მათ კიდეც წააჯობებენ. ჩვენი აბასთუმანი ყოველ მხრივ უკეთესია, ვინემ სახელგანთქმული დაოსი. ბორჯომი, გაგრა, უწერა, შოვი, ბახმარო – თქმულა ეს და მრავალი სხვა ასეთი ადგილი სათითაოდ აღებული, ხომ დაუფასებელ განძს შეადგეს. თვით ჩვენი დედა ქალაქი თფილისი, თავისი ძვირფასი გოგირდის აბანოებით და მშრალი ჯანსაღი ჰაერით, რას წარმოადგენს, თუ არ ერთ თვალსაჩინო კურორტს. ჩვენს კურორტებს არ იცნობენ უცხოელები, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი არ არიან შესაფერად მოწყობილი. ბევრ ადგილას მოსავალი გზებიც არ არის.

ჩვენ არ შევუდგებით ცალკე აგარაკების აღწერას. ამას მთელი წიგნი დასჭირდებოდა, ვიტყვით მხოლოდ, რომ მოწყობისა და გალამაზების შემდეგ ბევრი მათგანი მსოფლიო კურორტათ გადაიქცევა. მართლაც, ავიღოთ თუ გინდ ბორჯომი მისი რაიონით, ძვირფასი ტყეებით. მრავალი მინერალური წყლებით და მშვენიერი, პირდაპირ წარმტაცი ადგილმდებარეობით. განა საეჭვოა, რომ ასეთი ყოვლად შემკული ადგილი მთელი ქვეყნის ხალხთა მიმზიდველი იქნება? ან აბასთუმანი, რომელიც ჭლექიანებზე პირდაპირ სასწაულმოქმედებას ახდენს და მთელი წლის განმავლობაში ერთნაირად რგებს ავათმყოფს მისი ცხოველმყოფელი მზე და სუფთა ჰაერი? ან კიდევ გაგრა, როლის რბილი ზღვის ჰავა

ისე ეალერსება და ამშვიდებს დაღლილ ადამიანის ნერვებს? გაიყვანეთ მაღლა მთაზე, რომელიც თავზე წამოსწოლია გაგრას და თითქო ზღვაში ჩახრჩობას უპირებსო, ფუნიკულიორი და თქვენ სასწაულს მოახდენთ: რამოდენიმე წამის განმავლობაში ადამიანი ზღვის თბილ ჰაერიდან ალპიის ჰავაში მოხვდება. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ? – განა ბახმარო გურიაში, შოვი რაჭაში, ჩეგოლა სამეგრელოში და ბევრი სხვა ასეთი ადგილები საუცხოო კლიმატიური ადგილები არ იქნებიან, როცა იქ გზა მივა და საცხოვრებელი პირობები შეიქმნება?.

ჩვენი კურორტების პირველი უპირატესობა იმაში გამოიხატება, რომ ხშირად კარგ ჰავასთან ერთად ავათმყოფი სამკურნალო წყლებსაც იქვე პოულობს, ასეთია მაგ. ბორჯომი, აბასთუმანი, ციხიჯვარი, უწერა და სხვები. ამ ადგილებში ავათმყოფი ორნაირ ზეგავლენას განიცდის: კარგი ჰაერისა და სამკურნალო წყლის. ეს კურორტის დიდი, დაუფასებელი უპირატესობაა. მარა საქართველოს კურორტებს აქვთ კიდევ მეორე უპირატესობა, რომელიც მათ დაუფასებელ თვისებას შეადგენს. ეს ის, რომ აქ ჰაერი და ადგილმდებარეობა თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე იცვლება და ავათმყოფისათვის პირობების გამოცვლას ადვილ შესაძლებლად ხდის.

ავიღოთ იგივე ბორჯომი და მისი რაიონი. თვით ბორჯომში ჰავა ზომიერია: ცოტა ზევით – წაღვერში უფრო მშრალი ჰაერია. გაივლით კიდევ რამოდენიმე მანძილს და ბაკურიანში სუბ-ალპის ბუნებასა და ჰავას ხვდებით, ახვალთ ცხრა-წყაროზე და უკვე ალპიის კლიმატიურ პირობებში იმყოფებით. რაღაც ერთი ორი საათის სასიარულოზე ავათმყოფს საშუალება ეძლევა ერთი კლიმატიურ პირობიდან მეორე კლიმატიურ პირობაში მოხვდეს. თვით სხვადასხვა კურორტები ისე ახლოს არიან ერთი მეორეზე, რომ მათი გამოცვლა შედარებით ადვილია. ეს გარემოება საშვალებას აძლევს ავათმყოფს ერთი ადგილიდან მეორეზე ნაკლები დავიდარაბით გადავიდეს და ექიმობის მთელი კურსი ადვილათ შეასრულოს. სხვაგან ამისათვის ხშირათ საჭიროა ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორეში გადასვლა, ერთი სახელმწიფოდან მეორეში გამგზავრება, რაც შეკავშირე-

ბულია ბევრ ხარჯსა და უხერხულობასთან. აქ კი თვით ბუნებას ყველაფერი ეს ასე გაუადვილებია.

ხსენებულ თვისებების გამო საქართველოს კურორტებს დიდი მომავალი აქვთ, დროთა განმავლობაში საქართველო მეორე შვეიცარიათ უნდა გადაიქცეს, მხოლოდ ის უფრო კოხტა, მდიდარი და ორიგინალური იქნება. ამიტომ კურორტების მოწყობის საკითხს სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. ეს დიდი განძი ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ხალხისა და სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის. ამას ორნაირი მნიშვნელობა ექნება ჩვენთვის: ის ხელს შეუწყობს ხალხის ფიზიკურათ გაჯანსაღებას, ხოლო მეორე მხრივ ჩვენი კურორტები, მიიზიდავენ რა მრავალ უცხოელს, გადაიქცევიან შემოსავლის დიდ წყაროთ და ამნაირათ ეკონომიური აღორძინების ერთ-ერთ ფაქტორათ გახდებიან.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია აგრეთვე ჩვენი **მინერალური წყლები.**

მარტო თბილისის გუბ. ასამდი მინერალური წყარო ითვლება, ხოლო ქუთაისისაში – 60-ზე მეტი. ბევრი წყლები ჯერ კიდევ უცნობია. მარტო რაჭაში და სვანეთში უთვალავი წყლებია. თავისი ფიზიკური და ქიმიური თვისებებით ეს წყლები დიდად განირჩევიან ერთი-მეორისაგან. ზოგი მათგანი, როგორც სამკურნალო საშვალებანი, შეიძლება ორნაირად გამოვიყენოთ. ადგილობრივ სამკურნალოთ საბანაოთ ან სასმელათ და სხვაგან წასაღებათ. ასეთია, მაგალითად, ბორჯომის წყალი. იმით აქიმობენ ავათმყოფები თვით ბორჯომში, მარა გარდა ამისა, ის ისხმება ბოთლებში და შემდეგ მთელ დედამიწის ზურგს ეფინება, როგორც ბევრი ავათმყოფობის საწინააღმდეგო საშვალება. თუ რამდენათ სახელგანთქმულია ამ მხრივ ბორჯომის წყალი – ეს იქიდან ჩანს, რომ 1914 წ. განზრახული იყო 14 მილიონი ბოთლი წყლის ჩამოსხმა. იგი ბლომათ ვრცელდებოდა რუსეთში, ევროპასა და ამერიკაში. ომმა შეაფერხა წყლის ექსპორტი, მარა ახლა ისევ ახლდება და ბორჯომის წყალი, როგორც მშვენიერი სამკურნალო საშვალება, კვლავ მონახავს თავის მომხმარებელს.

მარა ამ მხრივ მარტო ბორჯომის წყალი როდია საინტერესო. წყალტუბოს ე. წ. „კუჭის წყა-

ლი“, უწერისა და ლაშხეთის (სვანეთი) სოდიანი
წყლები, კობის (დუშეთის მაზრა) ნარზანი, წაღვე-
რის რკინის წყალი, ახალციხისა და მცხეთის კუჭის
საწმენდი წყლები და მრავალი სხვა ასეთი სამკურ-
ნალო წყლები შეიძლება და უეჭველად უნდა გახ-
დენ ექსპორტის საგნათ. ისინი ბაზარს ადვილათ მო-
იპოვებენ და დიდი გასავალიც ექნებათ. ამ ნიადაგ-
ზე მრეწველობის მთელი დარგი აღორძინდება და
საქართველო სამკურნალო წყლების ლაბორატორიათ
გადაიქცევა.

როგორც ვთქვით, სამკურნალო წყლები ჩვენ-
ში ბევრ ადგილას არის, მარა მათში ყველაზე უფ-
რო საინტერესო შემდეგი წყლებითა:

წყალტუბოს თბილი აბანოები, რომლების
ტემპერატურა 30-40 გრადუსამდი აღწევს, ხოლო
საერთო რაოდენობა ყველა წყაროების დღე და ღა-
მეში მილიონ ვედრამდი ადის. დამტკიცებულია, რომ
წყალტუბოს წყლებში რადი ურევია. მათი რადიაქ-
ტივობა 3-7 უდრის. მიუხედავად ცუდი გზისა და
მოუწყობლობის, ყოველ წლივ აქ 40 ათასი კაცი
დადის.

ახტალის ტალახი, რომელიც საუცხოო სა-
შვალებაა რევმატიზმის წინააღმდეგ. მისი რაოდენო-
ბა 10 მილიონ ვედრას უდრის.

აბასთუმანის ცხელი წყლები, რომელთა ტემ-
პერატურა 48 გრადუსს სჭარბობს.

გოგირდის წყლის აბანო, ციხიჯვარში, ბა-
კურიანის ახლოს.

უწერას მუავე წყალი, კუჭის ავადმყოფობის
წინააღმდეგ. ამავე ტიპის არის ლაშხეთის მუავე წყა-
ლი, ხოლო განსხვავდება იმით, რომ ამ უკანასკნელ-
ში მეტია გაზი და წყაროც გაცილებით უფრო ძლი-
ერია. საუცხოო ადგილმდებარეობა და გარშემო
ნაძვნარი, ამ ადგილს, როგორც აგარაკს, დიდ მო-
მავალს უქადის.

კობის (დუშეთის მაზრა) **წყლები** ნარზანის ტი-
პისაა. ეს წყლები ხასიათდება გაზის ძლიერი შემად-
გენლობით და დიდი დებეტით. ზოგიერთი წყაროე-
ბი იმდენათ მძლავრია, რომ წისქვილს დაატრიალებს.

აღარ გავაგრძელებთ კიდევ სხვების ჩამოთვლას.
ისედაც ცხადია, თუ როგორ მდიდარია საქართველო

სამკურნალო წყლებით, თუმცა ჩვენ ჯერ შეიძლება
იმის მეათედი არ ვიცით, რაც ნამდვილათ არის.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოს
ბუნებრივი სიმდიდრე ჯერ კიდევ შეუსწავლელია.
ცნობები, რომელიც ჩვენ ამ დარგში მოგვეპოვება,
უმეტეს ნაწილათ არა სრული და შემთხვევითი ხა-
სიათის არის. ბევრ ადგილს მკვლევარის თვალი ჯერ
კიდევ სრულებით არ უნახავს. ამიტომ რაც ვიცით
საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეზე, ეს სრული არ
არის.

საქართველოს ტყეები.

როცა საქართველოს თვალსაჩინო სიმდიდრეზე
ვლაპარაკობთ, არ შეიძლება დავივიწყოთ მისი ძვირ-
ფასი ტყეები.

საქართველოს მთელი ტერიტორიის ერთი მე-
სამედი ტყეს უჭირავს. ზოგან ტყით დაფარული ტე-
რიტორია სჭარბობს დანარჩენ ადგილებს. ასეთია,
მაგალითად, თელავის მაზრა აღმოსავლეთსა და შო-
რაპნის მაზრა დასავლეთ საქართველოში.

ეს ტყეები იცავენ ჩვენს მთაგორიან ქვეყანას
ნიაღვარისა და წყლების წალეკვისაგან; წვიმების დროს
ისინი იძლევიან მდინარეების სათავეს და გვალვის
დროს უნახავენ მას საჭირო წყალს. ტყე ჩვენი ხალ-
ხის თითქმის ერთადერთ სათბობ და საშენებელ მა-
სალას წარმოადგენს. მარა მარტო ამით არ განისაზ-
ღვრება ტყის მნიშვნელობა. **საქართველოს ტყეები
შეიძლება გახდენ სხვილი მრეწველობის საგ-
ნათ.** ეს ტყეები შეიცავენ მრავალ ძვირფას მასალას,
რომლის დიდი ნაწილი დღეს მოუხმარებლათ ფუჭ-
დება. უგზოობისა და ტეხნიკის განუვითარებლობის
გამო ბევრი ძველი ტყე უქმათ არის გაჩერებული
და ხეები ლპება.

ევროპის ქვეყნებში ტყე თანდათან ილევა და
მაშასადამე მისი მოთხოვნილება უცხოეთის ბაზარზე
მატულობს. 5 წლის გამანადგურებელი ომის შემ-
დეგ ეს მოთხოვნილება ხომ კიდევ უფრო გაიზარდა.
ამ პირობებში ჩვენს ტყეს დიდი ფასი ედება. საჭი-
როა მხოლოდ მისი დამუშავება და ბაზარზე გატანა.

საქართველოს ტყეები მარტო სივრცით და მა-

სალის სიმრავლით როდია საინტერესო. ეს ტყეები უმეტეს ნაწილათ ძვირფასი ჯიშის ხეებისაგან შესდგება. ჩვენში (შავი ზღვის პირათ) ბლომათ შეხვდებით ბზას, რომელიც სხვაგან თითქმის არსად მოიპოვება ამ ჟამად. ალაგ-ალაგ არის წაბლი, ურთხელა, მუხა და სხვა. ძლიერ საინტერესოა აგრეთვე ე. წ. **რეზონანსის ტყე,** რომლისგან კეთდება ძვირფასი ინსტრუმენტები (როიალები, სკრიპკები და სხ.) და რომელიც საკმაო ბლომათ მოიპოვება ბორჯომის რაიონში, სვანეთისა და რაჭის სატყეოებში და სხვაგან. ბევრია ჩვენში წიფელა, რომელსაც სამწუხაროთ ჯერ კიდევ მარტო შეშათ ხმარობენ, მარა უცხოეთში მისგან აკეთებენ ძვირფას გრეხილ ავეჯეულობას. საქართველოს მდიდარ წიფლის ტყეებს შეეძლო ამ მხრივ მთელი ქვეყნის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, რომ მათი რაციონალური გამოყენება სწარმოებდეს. ჩვენს ტყეებს წლიურად 5 მილიონ კუბიკურ ფუტზე მეტი მასალის მცემა შეუძლია.

ამ მასალის რაციონალური დამუშავება რომ ხდებოდეს, ჩვენში მოეწყობოდა ქაღალდის წარმოება, გრეხილი ავეჯეულობის კეთება, ხის ნარჩენების ქიმიური გადამუშავება ზოგიერთი წამლების მისაღებათ, სკიპიდარის, კანიფოლის და ფისის ბლომათ დამზადება და სხ. და სხვ.

ჩამოვთვალოთ ზოგიერთი საყურადღებო სატყეო აგარაკები:

1. გაგრის სატყეო 14 ათასი დესიატინისაგან შესდგება. სპეციალისტების გამოანგარიშებით ამ ტყეს შეუძლია 40 მილიონი კუბიკი ფუტი საშენებელი მასალის მოცემა. ტყე უტეხია და უმთავრესად ნაძვისა და ფიჭვისაგან შესდგება. ერთ დროს რუს და ფრანგ კაპიტალისტების მიერ განზრახული იყო აქ დიდი წარმოების დაწყება. ტყე ზედ ზღვაზეა მოდებული და მექანიკური ჩამოსაშვების შემწეობით პირდაპირ ბოღაზში შეიძლება მიტანა.

2. გაგრის ტყის გაგრძელებას შეადგენს **აზიბის** ხეობის დიდი ტყე, სივრცით 100 ათას დესიატინაზე მეტი. ამ ტყის ზემო ნაწილი შესდგება წიწვიანი ჯიშებისაგან, ხოლო დაბლობში ფურცლიანი ჯიშები სჭარბობენ. გარდა ნაძვისა და ფიჭვის აქ შეხვდებით

წაბლს, ურთხელას და ბზას. უკანასკნელი ამ რაიონში ბლომათ მოიპოება და კარგი ღირსებისაც არის. ზოგიერთების ცნობით აქ ინახება დიამეტრში 6-10 ვერშოკიანი ბზა, რაც მეტად იშვიათ მოვლენას წარმოადგენს. ბზის მიერ დაკავებულ ტერიტორიას ექვსი ათას დესიატინამდი ითვლიან. ეს მეტად დიდ ღირებულებას წარმოადგენს. ნოყიერი ნიადაგის და ზღვის თბილი ჰაერის გამო, ამ რაიონში ხე დიდხანს ძლებს და ძალიან დიდი იზრდება. აქ შეხვდებით საკვირველი სიდიდის ხეებს, რომელთაც 300 წელიწადს კიდევ ზრდა ვერ დაუთავებიათ მაშინ, როცა სხვაგან ჩვეულებრივათ 80-100 წელს შემდეგ ტყე გადაბერებას იწყებს.

სამწუხაროთ ასეთი საყურადღებო სატყეო აგარაკი ჯერ კიდევ შესაფერისად გამოკვლეული და მოწყობილი არ არის.

3. შემდეგ ტყის დიდ მასივს ჩვენ ვხვდებით **კოდორის ხეობაში,** რომლის სივრცე 80-90 ათას დესიატინას შეიცავს. აქაც არის ბზა და წაბლი. ბლომათაა მუხა, წიფელა და რცხილა, ზემო ნაწილში სოჭი და ნაძვი.

4. **სვანეთის სატყეო** 90 ათას დესიატინამდე აღწევს. აქედან 70 ათასი დესიატინა ნაძვით, ფიჭვითა და სიუხვით არის დაფარული. აქ არის რეზონანსის ჯიშის ხეები.

5. **ბაღდადის ტყე** წინასწარი გამოკვლევით 55 დესიატინამდი ადის. წაბლი აქაც არის. ბევრია წიფელა, ნაძვი და ფიჭვი. ეს ტყე ცოტათ თუ ბევრათ გამოკვლეულია, ომის დროს აქ რკინის გზის გაყვანას აპირებდენ და პროექტიც არის შედგენილი.

6. **სურების საგარაკოში** 20-25 ათასი დესიატინა ტყეა. ტყის გამოტანა აქედან შეიძლება მდ. სუფსის შემწეობით, რასაკვირველია, კალაპოტის გაწმენდის შემდეგ. ტყე ძველისძველია, უტეხი და მდიდარი მასალით. აქ სხვა ჯიშებს ნაძვი და ფიჭვი სჭარბობს.

7. **ახალციხის რაიონის** ტყეების საერთო სივრცე 120-130 ათას დესიატინამდი აღწევს. ეს ტყეები საკმაო კარგათ არის დაცული. რკინის გზამდი მისი მოტანა შეიძლება მდ. მტკვრით.

8. **საჩხერის საგარაკო** 35 ათას დესიატინამ-

დი აღწევს. მის ერთ ნაწილს ამ ჟამათ რკინის გზა ამუშავებს შპალებისა და შეშის დასამზადებლად.

9. **ლენტეხის საავარაკო,** სივრცით 50 ათასი დესიატინა, უმეტესი ნაწილი ფიჭვისა და ნაძვისაგან შესდგება.

აქვეა რეზონანსის ნაძვი.

10. **ბორჯომის** რაიონი, 42 ათასი დესიატინამდია. ეს ერთად ერთი რაციონალურათ მოწყობილი სატყეოა მთელ რესპუბლიკაში. არის გაყვანილი გზები, ცალკე სატყეოები შეერთებულია ერთმანეთს შორის ტელეფონით. ტყე აღწერილი და გამოკვლეულია. ტყის ექსპლოატაცია ხდება თანახმათ სატყეო ხარჯთ-აღრიცხვის წესებისა. ამიტომ ბორჯომის ტყეები ყოველთვის დიდ შემოსავალს აძლევდენ მაშინ, როცა რესპუბლიკის სხვა ტყეები ან პირდაპირ ზარალს იძლეოდენ, ან და მეტად მცირე სარგებელს. ასე, მაგალითად, ქუთაისის გუბერნიაში 13 კაპეიკი შემოსავალი მოქონდა, ბორჯომის რაიონში კი 14 მანათამდი. ამუშავებს ამ ტყეებს თვით სახელმწიფო.

11. **ბათომის ოლქის** ტყე შესდგება უმეტეს ნაწილათ ნაძვის, ფიჭვის, სოჭისა და წიფლისაგან. ალაგ-ალაგ ტყე კარგადაა დაცული, მდიდარია მასალით და ზღვის სიახლოვის გამო დიდ ღირებულებას წარმოადგენს.

არის აგრეთვე სხვა დიდი ტყეები, როგორც, მაგალითად, გომის, ალაზნისა და რაჭის ტყეები, საიდანაც დიდძალი მასალის გამოტანა შეიძლება, მარა ჩამოთვლილი სატყეო აგარაკებიც საკმაო წარმოდგენას იძლევიან იმის შესახებ, თუ რა დიდი სიმდიდრის პატრონია საქართველოს რესპუბლიკა და რამდენათ გამოაკეთებს მის ფინანსიურ და ეკონომიურ მდგომარეობას ამ სიმდიდრის საზრიანათ მოხმარა.

მდინარეების ძალა.

მდინარეებს ჩვენში იყენებენ მხოლოდ მინდვრების მოსარწყავათ. ეს, რასაკვირველია, მათი მეტად კარგი თვისებაა: იგი ანოყიერებს მიწას და უზრუნველყოფს მეურნის შრომას კარგი მოსავალით.

მაგრამ მდინარეებს აქვთ მეორე, უფრო დიდი ღირსება, რომელიც ჯერჯერობით თითქმის სრულებით არ არის გამოყენებული. ჩვენ მხედველობაში გვაქვს მდინარის ძალის გამოყენება ელექტრონის ძალის მისაღებად, რომელსაც სხვანაირათ ჰიდრავლიურ ძალას ეძახიან.

საქართველოს მდინარეები დაქანებულ ტერიტორიაზე მიმდინარეობენ. ამიტომ ისინი მეტად ჩქარი არიან და დიდი ჰიდრავლიური ძალის მოცემა შეუძლიათ.

მდინარისაგან მიღებული ელექტრონის ძალა იმდენათ იაფია, რომ მას სპეციალისტები უფასო ძალას უწოდებენ. მართლაც, ერთხელ რომ ჰიდრალიურ სადგურს მოაწყობთ და ფულს დახარჯავთ, მერე მისი ასამუშავებელი და შესანახი ხარჯები იმდენათ მცირეა, რომ შემოსავალთან შედარებით ანგარიშათაც არ ღირს.

მერე არ იკითხავთ, რამდენი ძალის მოცემა შეუძლია ჩვენს მდინარეებს.

საქართველოს მდინარეების მინიმალურ ენერგიას ინჟენერები 2 ნახ. მილ. ცხენის ძალათ ითვლიან.

ერთი ცხენის ძალა კი ათი მუშის ძალას უდრის. ე. ი. ჩვენი მდინარეები თავის თავში ინახავენ 25 მილ. მუშის ძალას.

25 მილიონი უსასყიდლო მუშა!.

მთელი ამ ძალის გამოყენება მრეწველობაში და სასოფლო მეურნეობაში რაღაც საზღაპრო რამეს შექმნიდა საქართველოში.

ჯერ-ჯერობით კი ამ კოლოსალურ ბუნებრივ სიმდიდრიდან მარტო 5 ათასი ცხენის ძალა არის გამოყენებული.

პირველი კონცესია დიდი ჰიდრავლიური სადგურის ასაშენებლათ რუსეთის მთავრობამ 1912 წ. 2 ნოემბერს მისცა ინგლისის ქვეშევრდომს ინჟენერ სტიუარტს.

უკანასკნელის მაგალითს სხვებმაც მიბაძეს და მრავალი მთხოვნელი მიაწყდა კავკასიის ნამესტნიკს. ამაში ნებართვა მიიღო მხოლოდ კომპ. ურბანოვიჩ-პალაშკოვსკისამ მდინარე რიონის ნაწილის გამოსაყენებლად ჭიათურაში ელექტრო მეტალურგიული წარმოების გასამართავად.

მარა არც ერთი ეს კონცესია არ განხორციელებულა. და ეს ბუნების ძვირფასი სიმდიდრე დღემდი ტყუილად იკარგება.

ჩვენი მდინარეების ერთი დამახასიათებელი თვისება იმაში მდგომარეობს, რომ პატარა მანძილზე ისინი დიდ ენერგიას მოგვცემენ. ასე მაგალდითად, ჩვენში არის:

6	პუნქტი,	სადაც	10-დან	20	ათას	ცხენ.	ძალ.	მიიღ-	
19	„	„	20	„	50	„	„	„	„
12	„	„	50	„	100	„	„	„	„
და 7	„	რომელსაც	100	ათას	ცხენის	ძალაზე	მე-		

ტის მოცემა შეუძლია.

მდინარეების ძალის გამოყენება ჩვენთვის, პირველ ყოვლისა, იმას ნიშნავს, რომ საქართველო სათბობ და სანათ მასალის მიღების მხრივ გარეშე ქვეყნებზე არ იქნება დამოკიდებული. ბაქოს ნავთი, ურომლისოდაც ამ ჟამათ ჩვენ ერთ დღესაც არ შეგვიძლია არსებობა, ჩვენთვის საჭირო აღარ იქნება. ჩვენი მდინარეები იმდენ მამოძრავებელ ძალას იძლევიან, რამდენის მისაღებად საჭირო იქნებოდა წლიურათ თითქმის 700 მილიონი ფუთი ნავთის დაწვა.

ხშირათ ვნატრობთ – ბაქოს რა დიდი სიმდიდრე აქვსო და იმას ვერ ვამჩნევთ, რომ არა ნაკლები სიმდიდრე გვაქვს ჩვენი მდინარეების სახით შინ მოუხმარებლათ.

თუ რა დიდი სიკეთის მოცემა შეუძლია წყლების ძალის გამოყენებას – ეს სხვათაშორის, იქიდან ჩანს, რომ ნორვეგია-შვეციის მრეწველობა და ეკონომიური სიძლიერე თითქმის სავსებით ბუნების ამ ძალის მოხმარებაზეა დამყარებული.

ზემოთ მოყვანილი ციფრების მნიშვნელობა კიდევ უფრო ცხადი იქნება ჩვენთვის, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 1914 წელს ინჟენერების გამოანგარიშებით კავკასიის (მიიღეთ მხედველობაში მთელი კავკასიის და არა მარტო ამიერ-კავკასიის), ყველა ელექტრონის სადგურები (ბაქოს გამოკლებით) როგორც ჩვეულებრივი, ისე ჰიდრავლიური იძლეოდენ არა უმეტეს 135 ათასი ცხენის ძალისა. წარმოიდგინეთ ახლა ერთ წამს, რა იქნებოდა, რომ საქართველომ თავის მდინარეების ჰიდრავლიური ძალის მარტო ერთი მესამედიც რომ გამო-

იყენოს.

ახლანდელი ჩვენი რკინის გზების ასამოძრავებ-ლად საჭირო იქნება სულ რაღაც 50-60 ათასი ცხენის ძალა. ყველა ჩვენს სამრეწველო დაწესებუ-ლებებს დიდი-დიდი ამის ნახევარი ენერგია დას-ჭირდეთ. ქალაქების, დაბებისა და სოფლების გასა-ნათებლათ, რაც უნდა ბევრი ვიანგარიშოთ, საკმარი-სი იქნება 100-120 ათასი ცხენის ძალა.

მარა იაფი ენერგიის ქონება თვით იწვევს მრე-წველობის განვითარებას. წარმოების ბევრი დარგი დღეს ვერ ხეირობს, იმიტომ რომ ძვირი ჯდება მი-სი მამოძრავებელი ძალით დაკმაყოფილება. წყლის ძალა ყველაზე უფრო იაფი ძალაა, და როგორც ასე-თი, მაშასადამე, ის ხელს შეუწყობს წარმოების ახალ-ახალი დარგის აღორძინებას.

მართლაც, ჰიდროელექტრიული ძალის შემწე-ობით, როგორც გაკვრით წინათაც მოვიხსენეთ, ჩვენ შეგვეძლება ჭიათურის შავიქვის ფერომარგანეცათ ქცევა, რაც მოასწავებს ქვეყნის სიმდიდრის გამრავ-ლებას. საქართველოს მაშინ ამ დარგში მეტოქე არ ეყოლება მთელ დედამიწის ზურგზე.

მდინარეების ძალის მოხმარა საფუძვლათ დაე-დება ჩვენში მიწის ხელოვნური სასუქის დამზადებას როგორც შინაური საჭიროების დასაკმაყოფილებ-ლათ, ისე უცხოეთში გასატანათ. შეიძლება აღორ-ძინდეს ქიმიური წარმოების სხვადასხვა დარგი, მაგალითად, შეიძლება დამზადება საღებავების, ასა-ფეთქებელ ნივთიერებათა – სელიტრის (ხელოვნუ-რი სასუქი), კალცის, კარბილის, ალიუმინის, ბერ-ტოლეტის მარილის, ამიაკისა და სხვ.

მოეწყობა ელექტრონის ძალით გადადნობა რკინისა, სპილენძისა და სხვა მადნეულობისა.

ადვილი იქნება ისეთი ადგილების მორწყვა, რომელთაც ჩვეულებრივი სარწყავი სისტემა არ უდ-გება ან ძლიერ ძვირათ ჯდება. იაფი ენერგიის სა-შუალებით წყლის აყვანა მომაღლო ადგილებზე მი-ლებით (насосами) ადვილია.

დაბოლოს, იაფი ენერგია ნიშნავს ელექტრო-ნით ამუშავებას: რკინის გზების, პორტების, ფაბრი-კების, ქარხნების, მაღაროების; განათებას ქალაქე-ბის და სოფლების.

ერთი სიტყვით, დიდია სფერო ელექტრონის ენერგიის გამოყენებისა; დაუფასებელი მნიშვნელობა აქვს მას ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარების საქმეში, თუ მისი მიღება საკმაო რაოდენობით შეიძლება და ძვირიც არ ჯდება.

როგორც დავინახეთ, საქართველოს მდინარეები იძლევა აუარებელ იაფ ენერგიას, რომლის საავსებით დახარჯვას ვერასოდეს ვერ შესძლებს ჩვენი ქვეყანა, რა გინდ ძლიერ განვითარდეს ჩვენში მრეწველობა და სასოფლო მეურნეობა.

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა.

ჩვენს რესპუბლიკას აქვს ერთი დაუფასებელი სიმდიდრე, რომლის არც ხელის შეხება შეიძლება და არც ადვილათ გაზომვა. ეს – მისი გეოგრაფიული მდებარეობაა.

საქართველო მსოფლიო გზაჯვარედინზეა გაშენებული. ამას ახლაც ისეთი უდიდესი კულტურული და ეკონომიური მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში, როგორც წინეთ.

მართლაც, ჩვენ ვიცით, რომ წინანდელი ცივილიზაცია აღორძინდა იმ ქვეყნებში, რომლებიც ხმელეთისა თუ წყლის დიდი გზებით დაკავშირებული იყვენ სხვა ქვეყნებთან, მიმოსვლა და აღებ-მიცემობა ქონდათ სხვა ერებთან. კარჩაკეტილი ხალხის ხვედრი ყოველთვის სისუსტე და ჩამორჩენა ყოფილა. ახლაც ასეა. ის ერი და საქართველო დღეს ვერ იარსებებს, რომელსაც ზღვაზე გასავალი არა აქვს და არ შეუძლია პირდაპირ კავშირი დაიჭიროს დაწინაურებულ ქვეყნებთან. თითოეული დიდი სახელმწიფოს ისტორია არის ისტორია მსოფლიო გზების ხელში ჩაგდებისთვის ბრძოლისა. დიდი ერი და სახელმწიფო ამას ჩადიოდა პირველობის, ჰეგემონიის მოსაპოებლათ, პატარა – თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ და გასამტკიცებლათ.

როგორც კარგი ბინისათვის საჭიროა ფანჯარა სინათლისა და ჰაერის შესაშვებათ, ისე სახელმწიფოსთვის აუცილებელია თავისუფალი გზა და კავშირი განათლებულ კაცობრიობასთან. უიმისოდ ის ვერ გახდება თანამედროვე კულტურის მოზიარე და

ეკონომიური და გონებრივი პროგრესი მისთვის ხელ-
მიუწდომელი ხილი იქნება.

საქართველოს პატარა რესპუბლიკა არც ამ მხრივ
არის ბედისაგან დაჩაგრული.

იგი პირდაპირ აკრავს შავ ზღვას და უჭირავს
ორი კარგი ბოღაზი: ფოთი და ბათომი. შავი ზღვის
შემწეობით ის პირდაპირ დაკავშირებულია ევროპა-
სა და ამერიკასთან.

მარა ეს კიდევ ცოტაა.

საქართველო აკავშირებს ევროპასა და აზიას.
ის ქვეყნის ამ ორი დიდი ნაწილის საზღვარზე ძევს.
იგი აღმოსავლეთის და დასავლეთის შუაგული ცენ-
ტრია. ამიტომ აქ ერთდება დიდი მსოფლიო გზები.
საქართველო შემაერთებელი ხიდია დიდი და ატლან-
ტიის ოკეანესი, ცივ ოკეანესა და ხმელთაშუა ზღვის,
ინდოეთის ოკეანესა და ნემეცთა ზღვისა.

მრავალი ქვეყნის ვაჭრობა და აღებ-მიცემა სა-
ქართველოს საშვალებით უნდა მოეწყოს. აქ უნდა
გამოიაროს სხვადასხვა ქვეყნის ნაწარმოებმა და
ხალხმა, რომ თავის მიზანსა და დანიშნულებას მი-
აღწიოს.

ბათომი და თბილისი მსოფლიო ვაჭრობის ერთ-
ერთი პუნქტია.

ამნაირათ საქართველო ხალხთა და ნივთთა დი-
დი მოძრაობის აუცილებელი მონაწილე ხდება.

ამიტომ ჰქონდა ჩვენთვის ასეთი დიდი მნიშვნე-
ლობა ბათომის გადმოცემის საკითხს. როცა დაიწყეს
ბათომ-ყარს-თავრიზის რკინის გზის შესახებ ლაპარა-
კი და ამის განხორციელება დაუკავშირეს ბათომის
ნეიტრალიზაციის საკითხს, მთელმა ერმა ინსტიქტიუ-
რათ იგრძნო, რომ მის არსებობას სამარეს უთხრი-
დენ და ისტორიული განვითარებისა და ეკონომიუ-
რი პროგრესის გარეშე სტოვებდენ.

მართლაც რაღა იქნებოდა საქართველო, თუ
აზია-ევროპის შემაერთებელი გზა მას განზე დატო-
ვებდა? რათ გადიქცეოდა ერთხანს შემდეგ თბილი-
სი – ეს საქონლის დიდი განმანაწილებელი ცენტრი,
თუ ამ საქონლის მოძრაობა მას აშორდებოდა?

დიახ, საქართველოს იშვიათი გეოგრაფიული
მდებარეობა მისი ერთი დაუფასებელი განძთაგანია,
რომელიც ხელს უწყობს მის ნივთიერ კეთილდღეო-

ბას და პირდაპირ მონაწილეთ ხდის თანამედროვე კულტურისა და განვითარების.

ამნაირათ ჩვენ დავინახეთ, რომ საქართველო თუმცა პატარა ქვეყანაა, მარა ყოვლად შემკული და ბუნებით მდიდარია. მას აქვს ყველაფერი, რაც საჭიროა სახელმწიფოს შესაქმნელათ და განსამტკიცებლათ. აკლია მხოლოდ ცოდნა და მიზანშეწონილი შრომა. ცოდნა ჩვენ უნდა შევიძინოთ და შრომას მიგეჩვიოთ. ეს აუცილებელია. ქართველი ხალხი ამას შესძლებს. ამის თავდებია მისი როგორც შორეული, ისე ახლო წარსული და ის გმირული ბრძოლა, რომლის ცეცხლში მან უმწიკვლოთ გამოატარა დემოკრატიისა და საკაცობრიო იდეალების დროშა.

მომავალ საზოგადოებას საქართველო უნდა შეხვდეს არა ღარიბი და სუსტი, არამედ ლაღი და მშვენიერი დიდი სულიერი და ნივთიერი კულტურით.

ამის შესაძლებლობას ჩვენი უთვალავი ბუნებრივი სიმდიდრე იძლევა.